ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03/57

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება 26 02 01
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **24 მარტი, 2023 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **სს „ფრანს ავტო"** (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის **- გიორგი ფალიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების, კონსოლიდირებული ტენდერის **CON210000660** ფარგლებში 2022 წლის 10 იანვარს გაფორმებული N01/19 ხელშეკრულებისა და 2023 წლის 15 მარტის №01/88746 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბალანსზე რიცხული **4 ერთეული Renault Sandero ტექნიკურ მომსახურება (სახელმწიფო ნომრები: DD-036-YD (ს/ნ - VF15SRKL469138203), DD-037-YD (ს/ნ - VF15SRKL469138199), DD-038-YD (ს/ნ - VF15SRKL469137246), DD-039-YD (ს/ნ -VF15SRKL469138220). მათ შორის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საპოხი საშუალებების შეცვლა/შეკეთების მომსახურება** (CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. 4 ერთეული Renault Sandero ტექნიკურ მომსახურება (სახელმწიფო ნომრები: DD-036-YD (ს/ნ - VF15SRKL469138203), DD-037-YD (ს/ნ - VF15SRKL469138199), DD-038-YD (ს/ნ - VF15SRKL469137246), DD-039-YD (ს/ნ -VF15SRKL469138220).მიმდინარე შეკეთების, მათ შორის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საპოხი საშუალებების შეცვლა/შეკეთების მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3,000.00 (სამი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

3.2. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს **46,677.60** (ორმოცდაექვსი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.3. მომსახურების ძირითადი ნაწილის ჩამონათვალი ერთეულის ფასების მითითებით განისაზღვრება დანართი N1-ის (2 ფურცელი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა და ადგილი.

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მის მიერ გაწეულ მომსახურებაში აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრა და შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად **ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

4.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ ავტოტექმომსახურება ეხება დეფიციტურ სათადარიგო ნაწილებს - არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა დანართი N1-ის შესაბამისად. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ადგილ(ებ)ია: ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქ. N34, ქ. ქუთაისი, წყალტუბოს რაიონი სოფ. ქვიტირი, ქ. ბათუმი ჰ. აბაშიძის 51.

4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლამდე წერილობით

დასაბუთებული იქნება, რომ 4.4 პუნქტში მითითებულ ვადაში შეუძლებელია კონკრეტული მომსახურების გაწევა.
4.6. საგარანტიო პერიოდში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში (სწორი ექსპლუატაციის ფარგლებში), რაც გამორიცხავს ავტომანქანის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი. თუ ავტოტექმომსახურება ეხება დეფიციტურ სათადარიგო ნაწილებს - აღნიშნული ვადა შესაძლოა გაიზარდოს, მაგრამ არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა. გარანტია არ ვრცელდება სწრაფცვეთად ნაწილებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი
5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მომარაგების სამმართველოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის მენეჯერი - **თენგიზ საცერაძე**, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურდება საქონლის/მომსახურების ფაქტიური მიწოდება, ხოლო საქონლის/მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადასტურება მოხდება ინსპექტირების აქტით.

6. ანგარიშსწორების პირობები
6.1. მიმწოდებლთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში).
6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.5. დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი**.
6.6 შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
6.7. მიმწოდებელმა მომსახურების ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს მომსახურების გაწევის დამთავრების მეორე დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მომსახურების გაწევის 3 (სამი) თვის გასვლის მეორე დღიდან მიმწოდებელი კარგავს გაწეულ მომსახურებაზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის 3 თვის ვადაში წარუდგენლობის გამო.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
7.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)დროულად და ხარისხიანად გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
ბ)მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნაკლო;
გ)გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც არსებობს მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების ხარისხს;
დ)საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა საქარხნო დეფექტის, ან მიმწოდებლის ბრალეულობით მომსახურებაში გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრ;.
ე) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.
7.4. მიმწოდებლს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომასახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4. მიმწოდებლის მიერ უხარისხოდ გაწეული მომსახურებით მიყენებული ზიანისათვის თუ დასტურდება რომ ზიანი გამოიწვია მიმწოდებლის ქმედებამ პასუხისმგებლობა მიყენებულ ზიანზე სრულად ეკისრება მიმწოდებლს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.5 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

10.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით ფორმით მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობიმებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმით.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. მომსახურების გაწევის შემდეგ (ან შესრულების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

12.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეულ მომსახურებაზე აღმოჩენილი ნაკლი ან დეფექტი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ხილვადია).

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, აღმოჩენილი საქარხნო დეფექტის ან გაწეული მომსახურების ნაკლის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღმოჩენილი დეფექტის ან ნაკლის შესახებ მიმწოდებელს და მოსთხოვოს აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება შესრულებულ სამუშაოზე ექსპერტიზა.

12.5. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის მენეჯერი - **თენგიზ საცერაძე** ან/და მომარაგების სამმართველოს I კატეგორის უფროსი სპეციალისტი - **ირაკლი აბრამაშვილი** ან/და ამავე სამმართველოს I კატეგორის უფროსი სპეციალისტი - **კუკური ჯიბლაძე.**

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი ან/და სატელეფონო შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ.

დ) მომსახურება უხარისხოდ იქნა გაწეული.

ე) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

ვ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

ზ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N18 ს/კ 205360223 სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22 ა/ა GE24 NB03 3010 0200 1650 22 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	**სს „ფრანს ავტო“** მის: ქ, თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის 34 საიდენტიფიკაციო კოდი: 236098165 საბანკო რეკვიზიტები: სს „ საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა № № GE25BG0000000254559400 George Paliani Digitally signed by George Paliani Date: 2023.03.24 12:00:36 +04'00' დირექტორი
/იულია ტყეშელაშვილი/	**/გიორგი ფალიანი/**

						დანართი N1
საგარანტიო ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისადა მომსახურების განფასების ცხრილი						
ა/მანქანის მარკა მოდელი რენო სანდერო 1.5 დიზელი (დამატებითი)						
#	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	*გარბენი*	*ერთეულის ფასი*	*რაოდენობა*	*მომსახურების ფასი*	*შენიშვნა*
1	სავალი ნაწილის შემოწმება		-		10	
2	ხელის მუხრუჭის რეგულირება		-		40	
3	მფრქვევანა (ფარსონკა)		1180	1 ცალი	60	
4	მფრქვევანა (ფარსონკა)_ის ინსტალაცია		-	1 ცალი	40	
5	საწვავის ავზის და სისტემის გამორეცხვა		-		450	
6	წინა საყრდენი დისკი		490	1 კომპ.	80	
7	წინა საყრდენი დისკების მოხეხვა		-	1 კომპ.	80	
8	წინა ამორტიზატორი		330	1 ცალი	70	
9	წინა ამორტიზატორის ბალიში		95	1 ცალი	70	
10	წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი		95	1 ცალი	70	
11	წინა ამორტიზატორის (ადბოინიკი)		95	1 ცალი	70	
12	სამუხრუჭე სითხე		25	0,5 ლიტრი	120	
13	ანტიფრიზი		35	1 ლიტრი	40	
14	ანტიფრიზის შემოწმება		-		5	
15	მაცივარ აგენტი (ფრეონი)		25	100 გრ.	50	
16	შეჭიდების ქურო დისკი		870	1 კომპ.	450	
17	მოჭიდების საკისარი		680	1 ცალი	450	
18	შეჭიდება (მახავიკი)		1540	1 ცალი	100	მოხსნილ კოლოფზე
19	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება		-		450	
20	თვლების ნახარის რეგულირება		-		30	
21	შორს მაშუქი ნათურა		15	1 ცალი	5	
22	ახლოს მაშუქი ნათურა		15	1 ცალი	5	
23	გაბარიტის ნათურა (დიდი)		15	1 ცალი	5	
24	გაბარიტის ნათურა (პატარა)		5.00	1 ცალი	5	
25	უკანა სტოპის ნათურა		5	1 ცალი	10	
26	სალონის ნათურა		5.00	1 ცალი	5	
27	სანისლე ფარის ნათურა ჰ 16		95	1 ცალი	25	
28	სანისლე ფარის ნათურა ჰ 11		55	1 ცალი	25	
29	საბურავის დისკის გასწორება მარტივი		-	1 ცალი	15	
30	საბურავის დისკის გასწორება საშუალი		-	1 ცალი	25	
31	საბურავის დისკის გასწორება რთული		-	1 ცალი	45	
32	საბურავების მოხსნა-დაყენება		-	1 ცალი	3	
33	საბურავის დაშლა-აწყობა		-	1 ცალი	6	
34	საბურავის ბალანსირება		-	1 ცალი	6	
35	მშრალი ამორტიზატორის რეზინი		75	1 ცალი	35	
36	მშრალი ამორტიზატორის სტერჟინი		55	1 ცალი	30	
37	საქარე მინის ვაიპერი		195	1 კომპ.	10	
38	კატალიზატორის სენსორი (დაჩიკი)		450	1 ცალი	80	
39	საჟის ფილტრი		4875	1 კომპ.	350	
40	საჟის ფილტრის (გახვრეტა)		-		350	

41	ელ; სისტემის პროგრამირება		-		350	
42	საბურავის შეკეთება მარტივი		-	1 ცალი	15	
43	საბურავის შეკეთება საშუალო		-	1 ცალი	25	
44	საბურავის შეკეთება რთული		-	1 ცალი	45	
45	შესადუღებელი სამუშაო მარტივი		-		40	
46	შესადუღებელი სამუშაო საშუალი		-		120	
47	შესადუღებელი სამუშაო რთული		-		200	
48	ელ; სისტემის შეკეთება მარტივი		-		60	
49	ელ; სისტემის შეკეთება საშუალი		-		180	
50	ელ; სისტემის შეკეთება რთული		-		300	
51	კონდენციონერის რადიატორი		1680	1 ცალი	180	
52	აბს-ის დაჩიკი		350	1 ცალი	60	
53	კონდენციონერის კომპრესორი		3590	1 ცალი	350	
54	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი		-		250	
55	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშუალო		-		650	
56	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული		-		950	
57	წინა მორგვის სკისარი (სტუპიცის საკისარი)		230	1 ცალი	80	
58	უკანა მორგვის სკისარი (სტუპიცის საკისარი)		210	1 ცალი	70	
59	უკანა ამორტიზატორი		310	1 ცალი	80	
60	უკანა ბალკის მილისა (ვტულკა)		125	1 ცალი	120	
61	ბურთულა სახსარი (შარავოი)		65	1 ცალი	60	
62	წინა გიტარის მილისა (ვტულკა)		45	1 ცალი	40	
63	ტორპედოს მოხსნა-დაყენება		-		450	
64	სალონის ფეჩის რადიატორი		570	1 ცალი	450	
65	ძრავის ბალიში ზედა		315	1 ცალი	80	
66	გადაცემათა კოლოფის ქვედა ბალიში		175	1 ცალი	30	
67	გადაცემათა კოლოფის ზედა ბალიში		195	1 ცალი	120	
68	წევა (უდარნი ტიაგა)		140	1 ცალი	45	
69	წევა (უდარნი ტიაგა)_ის მტვერდამცავი		75	1 ცალი	55	
70	წევის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)		135	1 ცალი	35	
71	სიჩქარის გადამრთველი კულისა		870	1 ცალი	350	
72	მექანიკური კოლოფის დაშლა-აწყობა		-	1 ცალი	450	
73	ძრავის ამთვლელი სენსორი (დაჩიკი)		165	1 ცალი	80	
74	საყვირი		135	1 ცალი	30	
75	საყვირის და შუქების ჩამრთველი		450	1 ცალი	60	
76	საყვირის და შუქების ჩამრთველის აღდგენა		-		80	
77	საწვავის ტუმბო		1470	1 ცალი	120	
78	ჰიდრავლიკის ნასოსი		3350	1 ცალი	350	
79	ჰიდრავლიკის ნასოსის ინსტალაცია		-		150	
80	ჰიდრავლიკის ზეთი		35	1 ლიტრი	40	
81	წამყვანი ღერძი (ყუმბარ პოლუსი)		1670	1 კომპ.	80	
82	ყუმბარის მტვერდამცავი გარეთა		95	1 ცალი	80	
83	ყუმბარის მტვერდამცავი შიდა		120	1 ცალი	80	
84	წინა ბამპერის მოხსნა-დაყენება		-		150	
85	ელ; ამძრავი (სტარტერი)		1370	1 კომპ.	200	
86	ელ; ამძრავის დაშლა-აწყობა		-	1 ცალი	80	
87	ელ; გენერატორი		3180	1 კომპ.	200	
88	ელ გენერატორის დაშლა-აწყობა		-	1 ცალი	80	
89	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტორიაზე სტანდარტული		-		85	(სტანდარტული)
90	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტორიაზე ობობა		-		125	(ობობა)
91	ევაკუატორის მომსახურება რეგიონებში		-	1 კმ	2.6	
92	ელ; დროსელი		1680	1 ცალი	250	
93	ელ;დროსელის ინსტალაცია		-	1 ცალი	150	
94	საქარე მინის ყინვის საწინააღმდეგო სითხე		20	1 ლიტრი	0	
			34,140.00		12,537.60	
	სულ პრეისკურანტის ღირებულება				46,677.60	

KA010116779620423

№01/88746 **15 / მარტი / 2023 წ.**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორს,
ბატონ ნიკა ცხვარაშვილს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის იულია
ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკა,

მოგახსენებთ რომ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებს ესაჭიროება ტექნიკური მომსახურების შესყიდვა გარდა საგარანტიო პირობებისა. ვინაიდან ზემო აღნიშნული ავტომობილები შეძენილ იქნა სს „ფრანს ავტო“-ში. გთხოვთ, გაგვიფორმოთ შესაბამისი ხელშეკრულება 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ხელშეკრულების თანხა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარით.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად იულია ტყეშელაშვილი